# ჩვენ შევცვლით!!!

n115/1573 PX 4675/1

## პრიორიტეტები:



### შევცვლით ჯანდაცვას!

- ოჯახის ექიმი — ყველა თბილისელს!
- სამედიცინო დაზღვევა-ყველა ოჯახს!
- უფასო და იაფი წამალი ყველა თბილისელს!
- უფასო წამალი ბავშვებს და ხანდაზმულებს!
- წამალი შეღავათიან ფასად ყველა თბილისელს!
- უფასო მშობიარობა და ორსულობის პატრონაჟი!

ამ პროგრამისთვის თბილისის ბიუჯეტიდან დღეს არსებული 33 მილიონის ნაცვლად 117 მილიონი ლარი გამოიყოფა!

### შევცვლით სოციალურ სფეროს!

*ზამთრის პერიოდში* ყველა პენსიონერი მიიღებს 100 ლარიან დანამატს გაზისა და ელექტროენ-ერგიის ხარჯების დასაფარად.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ რეგისტრირებული ყველა დევნილი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მიიღებს შემწეობას თვეში 10 ლარის ოდენობით.

*სამი და მეტი შვილიანი ოჯახებისთვის :*
გაიზრდება ერთჯერადი მატერიალური დახმარება მე-3, მე-4 და მეტი შვილის დაბადებისთვის (მე-3 შვილზე - 800 ლარი, მე-4 შვილზე 1000 ლარი, მე-5 შვილზე 1500 ლარი). ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმვლობაში ოჯახს ყოველთვიურად დაენიშნება 50 ლარიანი დახმარება.

### შევცვლით უმუშევრობას დასაქმებით!

შეიქმნება საოჯახო და მცირე ბიზნესის 120 მილიონიანი ფონდი , რომელიც გასცემს სესხებს 8%-ში. ფონდი პირველივე წელს უზრუნველყოფს 20 000 მცირე ბიზნეს იდეის დაფინანსებას, 20 000 ლარამდე სესხის ოდენობით, რის შედეგადაც შეიქმნება 50 000 ახალი სამუშაო ადგილი. მეწარმეებისა და მესაკუთრეების უფლებების დასაცავად დაარსდება ბიზნეს ომბუდსმენის ინ-სტიტუტი.

**ნათელა მაჭავარიანის** საარჩევნო შტაბი

2

მისამართი: ყაზბეგის 41; ბარნოვის 60; ტელ.91 45 46

დამკვეთი: საარჩევნო ბლოკი "ალიანსი საქართველოსთვის" (ი. ალასანია, ს. სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ. გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი)
საარჩევნო ბლოკის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ჟ. კალანდაძის 3. შემსრულებელი: შპს "აუთდორ ტიპოგრაფი". ტირაჟი: 7 000 გამოშვების თარიღი 07.05.2010

# ნათელა მაჭავარიანი

**საბურთალოს**
მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი

2



**ალიანსი საქართველოსთვის**

# ჩვენ შევცვლით!!!

# ნათელა მაჭავარიანი

# ალიანსი საქართველოსთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ალიანსი საქართველოსთვის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი



## ბიოგრაფია:

დაიბადა 1939 წლის 6 ივლისს თბილისში. დაამთავრა თბილისის №5 საშ. სკოლა, 1970 წელს -თბილისის შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტი, სამსახიობო ფაკულტეტი. 1974-1979 წლებში იყო თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი. 1974 — 2010-მდე თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობი. 2010 წელს პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური სახელმწიფო საბავშვო თეატრიდან. 2006 წლიდან პოლიტიკურ პარტია "საქართველოს გზის" პოლიტსაბჭოს წევრია. 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებში არის "ალიანსი საქართველოსთვის" საბურთალოს №5 ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატი. გერმანიის საერთაშორისო ფესტივალზე ჟანა დარკის როლის შესრულებისთვის დაჯილდოვდა პრემიით. სპექტაკლში "სადა ხარ სოფიკო"-სოფიკოს როლის შესრულებისთვის სიგელით. პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა შევარდნაძის მთავრობის მიერ მისთვის მინიჭებულ ღირსების ორდენზე. ოჯახი: ჰყავს მეუღლე რობიკო დადიანი. შვილიშვილები: ნიტა და სანდრო დადიანები



*ნათელა მაჭავარიანი:*

***"40 წელი სცენაზე გავატარე და საზოგადოებამ კარგად იცის სკამის მაძიებელი ქალბატონი არასდროს ვყოფილვარ. არც პროფესიონალი პოლიტიკოსი გახლავართ, მაგრამ პოლიტიკოსობა არ სჭირდება ქვეყნის სიყვარულს, ხალხის გაჭირვების გულთან მიტანას.***

***ჩემი ასაკის და თავსდატეხილი უბედურებების მიუხედავად, ამ ბრძოლაში ჩართვა გადავწყვიტე, რათა საზოგადოებას მივცე მაგალითი შიშის დათრგუნვის, ღირსების დაბრუნების და გამარჯვების მოპოვების.***

***ხშირად მეკითხებიან: რა გვეშველება?- გვეშველება, თუ დავძლევთ შიშს, მივალთ არჩევნებზე და დავიცავთ ჩვენს ხმებს!"***





## ინიციატივა:

*ნათელა მაჭავარიანი:* ***"ჩემი ყველაზე დიდი ტკივილი ნარკომანიის პრობლემაა. ნარკოტიკმა შეიწირა ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილი, განადგურებამდეა მისული ჩვენი ახალგაზრდობა. ჩემი მიზანია, გამარჯვების შემთხვევაში ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ თბილისში გაიხსნას ნარკოლოგიური სარეაბილიტაციო ცენტრი. ის მილიონები, რომელიც იხარჯება შადრევნების, საათების, ხიდების გასაკეთებლად , მოხმარდეს ახალგაზრდების განკურნებას. ჩემი ხნის ადამიანი, ხვალ შეიძლება აღარც კი იყოს, მაგრამ ჩვენ მომავალი თაობა გვჭირდება. მსურს, ერთხელ და სამუდამოდ საქართველო გაბრწყინებული ვნახო, ერი კი გალიმებული და არა გასაცოდავებული ."***









# ჩვენ შევცვლით!!!